

დანართი 2

დამტკიცებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლებისა და კულტურის მინისტრის

2016 წლის _____

№ _____ ბრძანებით



დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები

(ორგანიზაციული კოდი 060411)

ქ. თბილისი 2016წელი

მთავარი საინფორმაციო გვერდი

ქვეპროგრამის დასახელება

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის საერთო ბიუჯეტი	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა	სხვა წყაროებიდან თანადაფინანსება
2000 ლარი	2000 ლარი	

ქვეპროგრამის განხორციელების ადგილი/მისამართი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
თბილისი, უზნაძის №68.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფები და რეზიუმე

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სტუდენტები.

ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზეთის თემატიკის გააქტიურებას, პოპულარიზაციას, სტუდენტების მხარდაჭერას.

ქვეპროგრამის დეტალური განხილვა

1. პრობლემის აღწერა

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენებიდან მრავალი წელი გავიდა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ტრაგედია მუდმივად იყო მსჯელობის, დისკუსიის, დებატების, მწვავე პოლემიკის, კვლევის საგანი. დღეს მოდის თაობა, რომელიც აფხაზეთში არ დაბადებულა, აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ იცის მხოლოდ გადმოცემებით ან წიგნებიდან და ყოველივეს აღიქვამს, როგორც წარსულის დრამატულ მოვლენას. ზოგადად, აღინიშნება აფხაზეთის თემის ახლებურად გააზრებული და ფუნდამენტური კვლევის სიმწირე.

2. ქვეპროგრამის მიზნები და დასაბუთება

აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციისა და გააქტიურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე ახალგაზრდების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტების მოტივაციის ამაღლება. კონკრეტული პროექტის განხორციელება წარმოადგენს აფხაზეთის მთავრობის მხრიდან ახალგაზრდების მხარდაჭერის, აფხაზეთის თემატიკის პოპულარიზაციის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ღონისძიებას.

3. მოსალოდნელი რისკები

- ქვეპროგრამის არაეფექტური დაგეგმვა;
- ქვეპროგრამის პროექტის დაგვიანებით წარმოდგენა;
- არასრულყოფილად მასალების მომზადება;
- ადმინისტრირების ხარვეზები;
- სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის შეფერხება;
- საკომუნიკაციო საშუალებების (ტელეფონი, ინტერნეტი და ა. შ.) გამოყენების შეზღუდვა;
- განსახორციელებელი პროექტისადმი სამიზნე ჯგუფის მიერ ინტერესის არქონა;
- ქვეპროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული ვალდებულებების არადროული/არასწორი განსაზღვრა.
- განაცხადების სამინისტროში დაგვიანებით წარმოდგენა.

4. შინაარსი და განხორციელების ეტაპები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, დაწესდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები.

2016 წლის 25 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №12 დადგენილებით დამტკიცდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების

დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესი.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭებასთან დაკავშირებით იქმნება კომისია 7(შვიდი) წევრის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი და საჭიროების შემთხვევაში კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვს მინისტრს.

სტიპენდიის მისანიჭებლად სტუდენტების წარდგენის უფლება აქვთ **ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.**

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სტიპენდია გამიზნულია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ **80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.**

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) გამიზნულია აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ **80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.**

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის (პოლიტიკის მეცნიერების დარგში) სტიპენდია წესდება მაგისტრატურის სტუდენტისათვის თვეში 150 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 100 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა. სტიპენდია ეძლევათ დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია წესდება მაგისტრატურის სტუდენტისათვის თვეში 150 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 100 ლარის ოდენობით არაუმეტეს 1 სტუდენტისა. სტიპენდია ეძლევათ დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

კომისიას უფლება აქვს სტიპენდიანტებს მითითებულ ვადაზე ადრე მოუხსნას სტიპენდია, თუკი სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება ან შეუწყდება. კომისია ამ გადაწყვეტილებას იღებს სტიპენდიაზე წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ.

განაცხადების წარდგენის ვადას განსაზღვრავს და საჯაროდ აცხადებს სამინისტრო სასწავლო წლის დასრულების შემდგომ.

გამოცხადებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები არ განიხილება.

სტიპენდიის თაობაზე განაცხადებს კომისია განიხილავს ახალი სასწავლო წლის დადგომამდე, კერძოდ 10 აგვისტომდე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სტიპენდიის მინიჭების შესახებ, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

სტიპენდიის მოსაპოვებლად კანდიდატურების განხილვა მიმდინარეობს ღია წესით.

კომისიის წევრს უფლება აქვს მოითხოვოს სხდომაზე კანდიდატურის დასწრება ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

კომისია სტიპენდიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ფარული კენჭისყრით, ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადაწყვეტის კომისიის თავმჯდომარის ხმა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით.

კომისიის მიერ სტიპენდიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომის ოქმი წარედგინება მინისტრს.

სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

5. ქვეპროგრამის შემსრულებელი სამინისტროში და პარტნიორი

- განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- საბიუჯეტო-საფინანსო, შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

6. ქვეპროგრამის ღონისძიებები (დეტალურად)

- საზოგადოების ინფორმირება პროგრამის შესახებ;
- სპეციალური კომისიის შექმნა და დამტკიცება;
- განაცხადების მიღება და განხილვა;
- კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეული კანდიდატებისათვის სტიპენდიის დანიშვნა.

ღონისძიებათა კალენდარული განრიგი													
	ღონისძიების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	განაცხადების რეგისტრაცია												
2	კომისიის შექმნა												
3	განაცხადების განხილვა კომისიის მიერ												
4	დაფინანსება												

7. მოსალოდნელი შედეგები

- აფხაზეთის თემატიკის გააქტიურება და პოპულარიზაცია.

8. ქვეპროგრამის სიცოცხლისუნარიანობა

პროგრამა ხორციელდება პირველად. მომავალში პროგრამის დაგეგვას, განხორციელებასა და სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს ახალგაზრდობის მხრიდან გამოხატული ინტერესი და აქტიურობა.

9. მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები

საბიუჯეტო-საფინანსო, შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

ქვეპროგრამის კოორდინატორები:

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი **ნინო ლობჯანიძე**, განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ხათუნა შონია**.

დეტალური ბიუჯეტის ნიმუში (ყველა თანხა მითითებული უნდა იყოს ლარებში)				
ბიუჯეტის მუხლი	საცალო ღირებულება	რაოდენობა	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა	თითოეული მუხლის დასაბუთება
ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მაგისტრანტებისათვის	150 ლარი	1 (ერთი)	150 ლარი	მე-3 კვარტალი სექტემბერი, მე-4 კვარტალი ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი
ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის	100 ლარი	1 (ერთი)	100 ლარი	მე-3 კვარტალი სექტემბერი, მე-4 კვარტალი ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი
დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის(პოლიტიკის მეცნიერების დარგში) სტიპენდია	150 ლარი	1 (ერთი)	150 ლარი	მე-3 კვარტალი სექტემბერი, მე-4

<p>მაგისტრანტებისათვის</p>				<p>კვარტალი ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი</p>
<p>დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის (პოლიტიკის მეცნიერების დარგში) სტიპენდია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის</p>	<p>100 ლარი</p>	<p>1 (ერთი)</p>	<p>100 ლარი</p>	<p>მე-3 კვარტალი სექტემბერი, მე-4 კვარტალი ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი</p>
	<p>სულ</p>		<p>2000 ლარი</p>	